საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაორი წლის ცხრა სექტემბერს, მე, ნოტარიუს ია ყიფიანს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 68-ში მომმართა: ბატონმა **მიხეილ ინაშვილმა** (დაბ. 03.12.1984 წელს, პირადი № 01308065423, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, მაია წყნეთელის ქუჩა, N 18). მან განაცხადა, რომ სურს გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭოს ბატონ **დავით ვაშაკიძეს** (დაბ. 31.03.1972 წელს, პირადი № 01024003923, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ატენის ქუჩა, N 18გ, ბინა 28). პირადობა დადგენილია ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა, მინდობილობის შინაარსი და შემდეგ შევადგინე რწმუნებულების პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მან წაიკითხა იგი და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდგომ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას

მინდობილობა

ორიათას ოცდაორი წლის ცხრა სექტემბერს ბატონმა **მიხეილ ინაშვილმა** (დაბ. 03.12.1984 წელს, პირადი № 01308065423, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, მაია წყნეთელის ქუჩა, N 18) - შემდგომში "მარწმუნებელი", სრული უფლებამოსილება მიანიჭა ბატონ **დავით ვაშაკიძეს** (დაბ. 31.03.1972 წელს, პირადი № 01024003923, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ატენის ქუჩა, N 18გ, ბინა 28) - შემდგომში "რწმუნებელი"

რწმუნებული უფლებამოსილია იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, თბილისის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის მერიაში, ყველა საჯარო ინსტანციაში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში, მუნიციპალურ ერთეულებში, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, მათ დაქვემდებარებულ ნებისმიერ დაწესებულებებში, რათა მიიღოს მარწმუნებლის საკუთრებში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონებაზე ნებართვა, სპეცნებართვა, შეათანხმოს პროექტი, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, განახორციელოს კორექტორება, გამოასწოროს რეგისტრაციის დროს წარმოშობილი ნებისმიერი ხარვეზი, მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადებები, განაცხადოს თანხმობა მარწმუნებლის მაგიერ, მიიღოს და/ან წარადგინოს ნებისმიერი საჭირო ცნობა და/ან დოკუმენტი, მიიღოს გადაწყვეტილებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, დაესწროს საქმის განხილვას, მიიღოს ნებართვები, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პროექტის კორექტირება, დაარეგისტრიროს პროექტი/დოკუმენტი მარეგისტრირებელ ორგანოში, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტაციას, მარწმუნებლის მაგიერ, შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია 2027 წლის 09 სექტემბრის ჩათვლით მოქმედების ვადით. უძრავი ქონების გაყიდვის, გასხვისების ან სხვაგვარად განკარგვის უფლების გარეშე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ია ყიფიანის ოფისში, დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე – 18.00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე – 5.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –3.24 ლარი. ჯამში: 26.24 ლარი

მიხეილ ინაშვილი

ნოტარიუსი ია ყიფიანი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

34408653687322

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N22197202

რეგისტრაციის თარიღი

09.09.2022 წ

ნოტარიუსი ია ყიფიანი: ია ყიფიანი
მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 68
ტელეფონი: 570506164

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18